ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5221718

ნომერი: AR1783861

თარიღი : 23.10.2020

გაცემის თარიღი : 11.12.2020

გაცნობის თარიღი : 14.12.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჩიხი იუმაშევი , N 51-ის მიმდებარედ (ნაკვ. 003/031);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნაზიბროლა მაღრაძე პ/ნ 01013002603
- თბილისი ვარკეთილი 3 II მ/რ კორ. 28 ბ. 33

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

თქვენს მიერ განსათავსებელი შენობა თავისი გეომეტრიული პარამეტრების მიხედვით წარმოადგენს 60 კვ.მ-მდე ფართობის შენობას, რომელიც განეკუთვნება შენობა -ნაგებობათა I კლასს და არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას , მაგრამ ვინაიდან ფუნქციურად იგი განკუთვნილია (როგორც თქვენ აღნიშნავთ მოთხოვნის ტექსტში) ცილინდრების სათავსოს: როგორიცაა ჟანგბადის, პროპანის, არგონის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვნად იზრდება მთლიანად ობიექტის რისკის ფაქტორი, აღნიშნულის გათვალისწინებით, პირველ რიგში საჭიროა მიმართოთ სიპ- ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს (მისამართი : ქ. თბილისი პოლიტკოვსკაიას ქ. #8) და წარმოადგინოთ მათი პოზიცია ამ ობიექტის, როგორც კლასის დაზუსტების , ისე უსაფრთხოების პირობების დადგენასთან დაკავშირებით.

- დაზუსტებული ინფორმაცია დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე (საჭიროების შემთხვევაში) ამსახურის მიერ გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ კანონით განსაზღვრულ ვადაში .

თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.